



შირაკი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№2 (10.107)

10-17 თებერვალი, 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

„ქოჩების ტბის“ გადარჩენის გზა

მრავალწლიანი მოლოდინის შემდეგ „ქოჩების ტბის“ გადარჩენის გზა და რეალური პერსპექტივა პირველად გამოჩნდა. წყლის ჭარბი მარაგი, რომელიც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების პროექტის დასრულების შედეგად მდ. „იორის“ ჭაბურღილებიდან მივიღეთ, იმის საშუალებას იძლევა, რომ ზედმეტი წყალი უმისამართოდ აღარ დაიღვაროს და დამშრალი ტბის შესავსებად მიემართოს. კვების გარეშე დარჩენილი ბუნებრივი ტბისთვის კი ეს შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.



ნიკოლოზ ჯანიაშვილი:

„ყველა დედოფლისწყაროელის ბავშვობა დაკავშირებულია ქოჩების ტბასთან, რომელიც დაშრა და რეაბილიტაციის შესაძლებლობა არ გვეძლეოდა. ერთ-ერთი საყვარელი ადგილი იყო ადგილობრივებისთვის. წყლის იმდენად დიდი მარაგი მივიღეთ, რომ გასულ თვეში რეზერვუარი ივსებოდა და დანარჩენი ნაწილი იღვრებოდა. განსაკუთრებით ზამთრის თვეებში იმდენი მოხმარება არ ხდებდა და ვერ ავითვისეთ. ახლა მუშავდება პროექტი, რომელიც ტბის შევსებას უზრუნველყოფს. როცა ტბის შევსება მოხდება, სარეაბილიტაციო სამუშაოებიც დაიწყება. ცენტრალური ხელისუფლების, პრემიერისა და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მხარდაჭერით, მივიღეთ ძალიან სასიხარულო გადაწყვეტილება, რომ ცენტრალური რეზერვუარიდან მოხდეს ქოჩების ტბასთან დამაკავშირებელი მილის მონტაჟი. მილსადენის მეშვეობით ზედმეტი წყალი ტბაში ჩაიღვრება. მოგეხსენებათ, ტბის აღდგენას გარკვეული დრო დასჭირდება. მას შემდეგ, რაც მისი მდგომარეობა დასტაბილურდება, მისი ტერიტორიის კეთილმოწყობაზე ვიზრუნებთ. ტბის პირველადი გამწმენ-

დი სამუშაოები უკვე განხორციელდა, თუ საჭირო იქნება, სამუშაოები კიდევ გაგრძელდება. დაახლოებით ორ თვეში უნდა მოეწყოს ეს მილსადენი. ტბის მიმდებარე ტერიტორია და სანაპირო ზოლი ამჟამად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს. ჩვენ იმდენი მსხვილი და მრავალმილიონიანი მასშტაბური პროექტი განვახორციელეთ, რომ მოსახლეობაც დამერწმუნება, არ გაგვიჭირდება ტბის ინფრასტრუქტურის განვითარება“.

დედოფლისწყაროს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე მანანა ყაბაშვილი მიიჩნევს, რომ ტბას ადამიანების დახმარება სჭირდება, თუმცა, ის ასევე ფიქრობს, რომ ტბის დაშრობის მიზეზები სპეციალისტებმა უნდა დაადგინონ და საზოგადოებამ სწორედ მას შემდეგ უნდა იმსჯელოს, ტბის აღსადგენად ხელოვნური ჩარევა შედეგიანი აღმოჩნდება თუ არა.

„მე არ ვარ გეოლოგი, ან ჰიდროლოგი, მაგრამ ტბის ეკოსისტემაში ხელოვნური ჩარევა რა დადებით, ან უარყოფით შედეგებს გამოიწვევს, ამაზე მსჯელობა მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, თუკი მეცნიერები დაადგენენ ტბის დაშრობის მიზეზებს. ვფიქრობ, ტბა კარგი რესურსია და მას ადამიანების დახმარება სჭირდება,“ – უთხრა „შირაკს“ მანანა ყაბაშვილმა.

„ქოჩების ტბის“ რეაბილიტაციის პრობა 2012 წელს მიხეილ სააკაშვილმა, 2014 წელს კი „ქართული ოცნების“ დედოფლისწყაროს ორგანიზაციამ გასცა. ათი წლის წინ, როცა დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი პირველ ნაბიჯებს დგამდა, ამომრჩეველს სამი პირობა მისცა: ქედების ზონის გაზიფიცირება, ახალი საავადმყოფოს მშენებლობა და „ქოჩების ტბის“ განვითარება. ათწლიანი მუშაობის პერიოდში დედოფლისწყაროში ხელისუფლების მიერ გაცემული ყველა დაპირება შესრულებულია. თამამად შეიძლება ითქვას, ერთადერთი დაპირება, რომელიც ამ დრომდე შეუსრულებული დარჩა, ესაა სწორედ სოფელ სამრეკლოში მდებარე „ქოჩების ტბის“ რეაბილიტაცია. იმის გამო, რომ ტბამ 2015 წლიდან კატასტროფული ტემპით დაშრობა დაიწყო, რეაბილიტაციის გეგმამ აზრი დაკარგა. პერიოდულად მცირე მატება შეინიშნებოდა, თუმცა წლების მანძილზე ვითარება უიმედო იყო. მისი აღდგენის ერთადერთი რეალური იმედი მხოლოდ ახლა გაჩნდა.

2012 წლის აგვისტოში, მიხეილ სააკაშვილმა ტბაზე ფოტოები გამოფინა, ხალხიც მიიყვანა და ზაზა კედელაშვილთან ერთად პირობა დადო, რომ „ქოჩების ტბა“ განვითარდებოდა. ერთ თვეში ნაციონალურმა მოძრაობამ არჩევნები წააგო და მალე

გაირკვა, ტბის განვითარების არანაირი გეგმა, დაფინანსება, ან ხარჯთაღრიცხვა არ არსებობდა. მხოლოდ რამდენიმე მეტალოპლასტმასის ფანჯარა ჩაისვა. ორი წლის შემდეგ „ქართული ოცნებაც“ დაგვიპირდა, მაგრამ მათგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო პროცესი წინ აღარ წასულა. 2015 წლიდან ტბა დაჭაობდა, წყალმა კლება დაიწყო და ირგვლივ გამოთავისუფლებული ადგილებიც მოქალაქეებმა დაიტაცეს, ყანებიც გააშენეს. ითქვა, რომ გეოლოგები ჩაერთვებოდნენ და გამოიკვლევდნენ, რატომ აღარ იკვებება წყლით ქოჩების ბორცვიდან. გეოლოგებს საიმედო არაფერი უთქვამთ, არც წლებმა მოიტანა შედეგი. ამ დრომდე ადგილობრივები თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ შორეულ წარსულში ტბა რამდენჯერმე დამშრალა და ვარაუდობდნენ, რომ ოდესმე ბუნებრივ აღდგენას ისევე შეძლებდა.

მოვლენები დააჩქარა დედოფლისწყაროს წყალმომარაგების მასშტაბურმა პროექტმა, სადაც იმდენად დიდი რესურსი მივიღეთ, რომ მუნიციპალიტეტი მოხმარებას ვეღარ ასწრებს და წყალი რეზერვუარიდან უმისამართოდ იღვრება. სწორედ აქ გაჩნდა ტბის აღდგენის იმედი. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით გადაწყვიტა ჭარბი წყალი სწორედ დამშრალ ტბაში ჩაღვაროს და „ქოჩების ტბას“ აღდგენაში ხელოვნურად დაეხმაროს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი დაშრობის მიზეზი კვების არარსებობაა, მაშინ ლოგიკურად უნდა გვქონდეს იმედი, რომ ხელოვნური კვების შემთხვევაში ეს ტბა პირვანდელ მშვენიერებას მალე დაიბრუნებს.

ილია მარტყოფლიშვილი



პარლამენტმა მთავრობის განახლებული შემადგენლობა დაადასტურა

პარლამენტმა მთავრობის განახლებულ შემადგენლობას ნდობა გამოუცხადა. 84 ხმით, 10-ის წინააღმდეგ - ასეთი შედეგით დამტკიცდა მინისტრთა კაბინეტი, რომელსაც ირაკლი კობახიძე უხელმძღვანელებს.

პრემიერ-მინისტრის გარდა, ცვლილება მხოლოდ თავდაცვის უწყებას შეეხო - თავდაცვის მინისტრის პოსტზე ჯუანშერ ბურჭულაძე ირაკლი ჩიქოვანმა შეცვალა.

მთავრობა შემდეგი შემადგენლობით დამტკიცდა:

- *პრემიერ-მინისტრი - ირაკლი კობახიძე;
- *განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი - გიორგი ამილახვარი;
- *გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი - ოთარ შამუგია;
- *ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი - ლევან დავითაშვილი;
- *თავდაცვის მინისტრი - ირაკლი ჩიქოვანი;

- *იუსტიციის მინისტრი - რატი ბრეგვაძე;
- *კულტურისა და სპორტის მინისტრი - თეა წულუკიანი;
- *ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - ზურაბ აზარაშვილი;
- *რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი - ირაკლი ქარსელაძე;
- *საგარეო საქმეთა მინისტრი - ილია დარჩიაშვილი;
- *ფინანსთა მინისტრი - ლაშა ხუციშვილი;
- *შინაგან საქმეთა მინისტრი - ვახტანგ გომელაური;
- *შერიგებისა და სამოქალაქო თანახმობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი - თეა ახვლედიანი.

სხდომა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნით დაიწყო.

მსოფლიო ბაზარზე კაკაოს ფასი რეკორდულ მაქსიმუმზე - გააძვირდება თუ არა შოკოლადი

გლობალურ ბაზარზე კაკაოს ფასმა ახალი ისტორიული მაქსიმუმს მიაღწია. ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე კაკაოს ფიქურების ფასი ტონზე 5 870 დოლარს აღწევს. ეს მაჩვენებელი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით თითქმის 134%-ით არის გაზრდილი. 2023 წლის 9 თებერვალს ერთი ტონა კაკაო ბირჟებზე 2 510 დოლარს ღირდა.

კაკოზე ფასების ზრდას სპეციალისტები მინორების ჯაჭვში შექმნილ პრობლემებსა და თავდაცვის უწყების დეფიციტს უკავშირებენ.

კაკაოს უმსხვილეს მწარმოებელთა შორის მეორე ადგილზე მყოფი განას ექსპორტიორები აცხადებენ, რომ მიმდინარე სეზონზე ქვეყანაში 475 000 - 500 000 ტონა კაკაოს მოსავლას ელოდებიან, ნაცვლად წინა სეზონის 655 000 ტონისა.

ამასთან, ექსპორტიორთა შეფასებით, კაკაოს მარცვლების მიწოდება კოტ-დ'ივუარის პორტებში, რომელიც მსოფლიოში ამ პროდუქტის უმსხვილესი მწარმოებელია, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 35%-ით ნაკლები იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ კაკაოს ბაზარი ზედიზედ მესამე წელი დეფიციტური იქნება.

შოკოლადის მწარმოებელი კომპანია Hershey Co. ადასტურებს, რომ კაკაოს გაძვირება მათი პროდუქტის ფასებზე პირდაპირ აისახება. „თუ ფასების ზრდა გაგრძელდება, იძულებული ვიქნებით, გადავიღოთ ჩვენი შოკოლადი“ - განაცხადა კომპანიის წარმომადგენელმა.

ქვეყნები, სადაც ყველაზე სუფთა წყალი მოდის - როგორია საქართველოს მაჩვენებელი

სუფთა და დასაღვად ვარგისი წყალი არც ისე ბევრ ქვეყანაში მოდის. მაშინ, როდესაც დედამიწის ზედაპირის 3/4 ნაწილია დაფარული, აქედან მხოლოდ 3%-ია სასმელად ვარგისი. მეტიც, აქედან მხოლოდ 0.3% მოდის მდინარეებზე, ტბებზე და მინისქვეშა წყლებზე, ხოლო დანარჩენი მყინვარების სახითაა ლოკალიზებული.

გაეროს ანალიტიკური ცენტრი წყლის შესახებ, რომელიც მუდმივად ანახლებს ინფორმაციას, გვანდის მონაცემებს მსოფლიოში იმ 10 ქვეყნის შესახებ, სადაც ონკანიდან წყლის თამამად დაღვება შეგიძლიათ, ესენია: ფინეთი, ავსტრია, ირლანდია, ნორვეგია, შვეიცარია, გაერთიანებული სამეფო, საბერძნეთი, მალტა, ისლანდია და ნიდერლანდები. ათივე ქვეყანა თანაბრად 100 ქულით არის შეფასებული წყლის უსაფრთხოების კუთხით.

მათ მოჰყვებიან: გერმანია, ლუქსემბურგი, ისრაელი, კვიპროსი, კანადა, იტალია, შვედეთი, იაპონია, ბელგია, საფრანგეთი, ესპანეთი და ა.შ.

რაც შეეხება საქართველოს, წყლის ხარისხის საწინააღმდეგო აქ 52,3 ქულით არის შეფასებული. (ცნობისათვის, აღნიშნულ რეიტინგში რაც უფრო მაღალი აქვს ქვეყანას ქულა, წყლის ხარისხი იქ უფრო მაღალია) მას წინ უსწრებს რუსეთი, უკრაინა და ლიეტუვა, ხოლო ჩამორჩებიან მექსიკა, ბაჰრეინი და ტონგო. ხოლო ქვეყნები, სადაც წყლის ხარისხის კრიტიკულ მაჩვენებლამდე დასული, არის: ჩადი, ნიგერია, განა, უგანდა, მალავი და ა.შ.

„ჩემთვის მნიშვნელოვანია თავდაცვის კალაბთან შეხვედრა“

პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს თავდაცვის ახალი მინისტრი, ირაკლი ჩიქოვანი წარუდგინა.

თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების ხელმძღვანელებს შორის გატარებული შეხვედრა უკვე დასრულდა.

„შეხვედრი თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს, თავდაცვის ძალების წარმომადგენლებს. მადლობა გადავუხადე ჯუანშერ ბურჭულაძეს, მის მიერ განხორციელებულ შეხვედრას, რომელიც ახალი მინისტრი ირაკლი ჩიქოვანი. მქონდა საუბარი იმ საკითხებზე რაც უკავშირდება თავდაცვისუნარიანობის განვითარებას, თავდაცვის რესურსების გაძლიერებას. ჩემთვის მნიშვნელოვანია და ძალიან დიდი პატივია, რომ პირველი შეხვედრა პრემიერ-მინისტრის რანგში, შედგა სწორედ თავდაცვის სამინისტროში, თავდაცვის ძალების წარმომადგენლებთან ერთად“,- განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ.

„ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის მხარდაჭერა, რომელსაც ჩვენი პოლიტიკური გუნდისგან ვგრძნობ. რა თქმა უნდა, ჩემი ამოცანა იქნება, რომ ყველა-

ფერი გავაკეთო იმისათვის, რათა გავაძლიერო ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რომ ჩვენი თავდაცვის ძალები სრულად უზრუნველყოფილი იყვნენ. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო ჯუანშერ ბურჭულაძეს, წინამორბედ მინისტრს. მისი და პრემიერ ირაკლი ლარიბაშვილის თავდაცვის მინისტრობის პერიოდში ძალიან ბევრი პოზიტიური და დადებითი ცვლილება განხორციელდა, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა ჩვენი თავდაცვისუნარიანობა. მე გეტყვით იმას, რომ თავდაცვის სამინისტროს და თავდაცვის ძალებს ძალიან მკაფიო ხედვა აქვს, თუ როგორ უნდა განვითარდეს ჩვენი თავდაცვის შესაძლებლობები; რა გეგმებით უნდა ვიმოქმედოთ, როგორც მოკლევადიანი თვალსაზრისით, ასევე საშუალოვადიანით“,- განაცხადა თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ჩიქოვანმა.

კითხვაზე, იგეგმება თუ არა საკადრო ცვლილებები თავდაცვის სამინისტროში, ჩიქოვანმა განაცხადა, რომ ამის შესახებ ინფორმაციას სამინისტროში მომუშავე ადამიანებთან და პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციების შემდეგ გასცემს.

„სიხარულით ველი თქვენთან მუშაობას, რათა უფრო განვავითაროთ ჩვენი ურთიერთობები და წინ წავწიოთ“

გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი ირაკლი კობახიძეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დამტკიცებას ულოცავს.

„პატივცემულო პრემიერ-მინისტრო, მსურს გულითადად მოგილოცოთ. სიხარულით ველი თქვენთან მუშაობას, რათა კიდევ უფრო განვავითაროთ ჩვენი ურთიერთობები და წინ წავწიოთ საქართველო ევროკავშირის გზაზე. იღბალს და წარმატებებს გისურვებთ თქვენი უფლებამოსილების განხორციელებაში“,- ნათქვამია ოლაფ შოლცის მისალოცში.

შეგახსენებთ, რომ პარლამენტმა მთავრობის განახლებულ შემადგენლობას ნდობა გუშინ გამოუცხადა.

84 ხმით, 10-ის წინააღმდეგ - ასეთი შედეგით დამტკიცდა მინისტრთა კაბინეტი, რომელსაც ირაკლი კობახიძე უხელმძღვანელებს.

გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი ირაკლი კობახიძეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დამტკიცებას ულოცავს.

„პატივცემულო პრემიერ-მინისტრო, მსურს გულითადად მოგილოცოთ. სიხარულით ველი თქვენთან მუშაობას, რათა კიდევ უფრო განვავითაროთ ჩვენი ურთიერთობები და წინ წავწიოთ საქართველო ევროკავშირის გზაზე. იღბალს და წარმატებებს გისურვებთ თქვენი უფლებამოსილების განხორციელებაში“,- ნათქვამია ოლაფ შოლცის მისალოცში.

შეგახსენებთ, რომ პარლამენტმა მთავრობის განახლებულ შემადგენლობას ნდობა გუშინ გამოუცხადა.

84 ხმით, 10-ის წინააღმდეგ - ასეთი შედეგით დამტკიცდა მინისტრთა კაბინეტი, რომელსაც ირაკლი კობახიძე უხელმძღვანელებს.

რატომ წყდება წყალი?

ერთი კვირა, რაც დედოფლისწყაროს მოსახლეობას 24-საათიანი წყალმომარაგება შეუწყდა.

„სამსახური 18.00 საათზე მიმთავრდება, სახლში რომ ვბრუნდები, წყალი აღარ მხვდება. რეზერვუარების ავსებას გადავჩვიე, ამიტომ საოჯახო საქმეების გაკეთებას ვეღარ ვასწრებ. მანტერესებს, რატომ დაირღვა წყალმომარაგების 24-საათიანი გრაფიკი?“-ჩივიან დედოფლისწყაროელები. გაზეთმა „შირაქმა“ სიტუაციის გარკვევის მიზნით,

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიმართა, სადაც განგვიმართეს, რომ ეს „დროებითი შეფერხებაა. წყალმომარაგების სისტემის ახალ მაგისტრალზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც გულისხმობს ელექტრო ურდულებისა და ელექტრო ჰაერის გაშვებების დამონტაჟებას. რამდენიმე დღეში მოსახლეობა წყალს კვლავ ჩვეული გრაფიკით მიიღებს. მანამდე კი, ივრის წყლის ნაცვლად მომხმარებელი კვლავ ძველი წყლის სათავე-ნაგებობებიდან მარაგდება“.

მოსახლეობა პრიორიტეტებს ასახელებს



„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შეხვედრაში სორნა-გუჯში, ჭოეთისა და სამრეკლოში გაიმართა.

შეხვედრებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მერისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო. ხორნაბუჯის მოსახლეობამ მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ხელისუფლებას მადლობა გადაუხადა სოფელში განხორციელებული ინფრასტრუქტურული

პროექტებისთვის და ამჯერად პრიორიტეტად ხორნაბუჯის ორი სასაფლაოს მონესრიგება დაასახელა.

შეხვედრაზე მოსულმა ახალგაზრდებმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს სთხოვეს საჯარო სკოლის წინ გადასასვლელთან ზეზრის დახაზვა, რასაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მიესალმა და მოსწავლეებს ახალი იდეებიც შესთავაზა. მან ერთი სიახლეც გაანდო ხორნაბუჯელებს-2024 წლისთვის საცურაო აუზი

ამენდება სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ჭოეთის მოსახლეობამ აღნიშნა, რომ სოფელში ინტერნეტი არ არის, რის გამოც მოსახლეობას დიდი თანხის გადახდა უწევს. მათ ასევე მოითხოვეს, რომ ჭოეთში არსებულ გასართობ მოედანზე ატრაქციონები, რომლებიც დამტკრეულია, გამოიკვალოს, რადგან ბავშვები ამორტიზებული საქანელებით ვეღარ

სარგებლობენ.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების გამოვლენის მიზნით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობასთან შეხვედრები 29 იანვარს დაიწყო და მომავალ კვირას დასრულდება.

ინგა შილაშვილი





წიგნის ქალა



იყო დრო, როცა წიგნის კითხვა ერთ-გვარი მოღვაწე იყო, კარგი გაგებით. მოსწავლეობისას, საზაფხულო არდადეგების დროს, გარეშე ლიტერატურის კითხვის მართონი გვექონდა გამოცხადებული. სექტემბერში, სკოლაში დაბრუნებულები ერთმანეთს „ვეფხისტყაოსნით“ წაკითხული წიგნების რაოდენობაში და სიახლოვეთ ვუზიარებდით ერთმანეთს აზრს ამა თუ იმ მწერლისა თუ წიგნის თაობაზე. მაშინ კარგი წიგნები იოლად ხელმისაწვდომიც არ იყო. ამიტომ მხატვრული ლიტერატურის მოყვარულები ახალ ნაწარმოებებს ლიტერატურული ჟურნალების „მნათობისა“ და „ცისკრის“ ფურცლებიდან ვეცნობოდით, რომლებიც ხელიდან-ხელში გადადიოდა... დრო შეიცვალა. ახლა წიგნის დეფიციტი აღარაა, სამაგიეროდ, მკითხველის ნაკლებობაა.

თანამედროვე მსოფლიოში ინფორმაციული ტექნოლოგიების გავრცელების შედეგად სულ უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა წიგნს. ახალგაზრდები ამჯობინებენ, ისხდნენ კომპიუტერთან გართობის თუ სწავლის მიზნით, ვიდრე იკითხონ წიგნი და, შესაბამისად, მისგან მიიღონ ცოდნა.

წიგნმა, მატერიალური თვალსაზრისით, ერთი შეხედვით, თითქოს ფუნქცია დაკარგა. მაგრამ ვისაც წიგნის კითხვისას სიამოვნება მიუღია, კარგად იცის, რომ ადამიანი წიგნის კითხვის დროს იმ კონკრეტულ მოვლენას აღიქვამს, რაც წიგნში წერია, მოგზაურობს სხვადასხვა დროსა თუ ქვეყანაში, იქ მოყვანილი გმირების აზრებსაც განიცდის და გარკვეულ ცხოვრებისეულ გამოცდილებასაც იღებს მისი საშუალებით. სწორედ ამიტომ თქვა ჯორდანო ბრუნო - „ყოველი კარგი წიგნი თვალ წინ გვიშლის ახალ სამყაროს“.

წიგნის კითხვას ხომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. უნიგნოდ ადამიანის შეხედულება ცხოვრებაზე, ნებისმიერ ფასეულობაზე, პრიმიტიულია, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა „არც უნიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდან გამოსხვდა“. უნიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის“. თუ გვინდა ვიყოთ ცივილიზებული სამყაროს სრულყოფილებიანი მოქალაქეები, აუცილებელია გავეცნოთ წინა თაობის

ნააზრებს, მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა. აუცილებელია მათი ნააზრევის გაცნობიერება, შეფასება და გადაზრება, რაც ასევე ჩვენი ფასეულობების ჩამოყალიბებას განაპირობებს. წიგნი სულიერი საზრდოა, ის ცხოვრების აღქმაში, თვალსაზრისის გაფართოებაში, ლექსიკის ჩამოყალიბებაში ეხმარება მომავალ თაობას...

წიგნიერების საერთაშორისო კვლევის (PIRLS - Progress in International Reading Literacy Study) შედეგებით, მონარდა წიგნიერების დონე საქართველოში საშუალოზე დაბალია. საქართველო, წიგნიერების დონის მაჩვენებლით, 61 ქვეყნიდან 51-ე ადგილზეა - ამბობს 2016 წლის გამოკვლევა, რომელიც ცენტრალური კონექტიკუტის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ჯონ მილერმა და მისმა გუნდმა ჩაატარა. ყველაზე წიგნიერი ქვეყნების პირველ ათეულს სათავეში ფინეთი უდგას, ყველაზე ბოლო ადგილზეა ბოტსვანა.

7 თებერვალს დედოფლისწყაროს მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე აღინიშნა. ღონისძიება ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა მანანა მაჭარაშვილმა გახსნა.

მანანა მაჭარაშვილი: „ეს დღე კიდევ ერთი დასტურია, თუ რა დამოკიდებულება აქვს სახელმწიფოს ზოგადად, განათლების და მომავალი თაობის სულიერი აღზრდის მიმართ. წიგნი იმისთანა რამ არის, სოფლის ამბავს ქალაქში ამოიტანს, ქალაქისას სოფელში წაიღებს, საიდან სად კაცს კაცთან გალაპარაკებს“-წერდა ჩვენი ერის სულიერი მამა ილია ჭავჭავაძე. წიგნის კითხვა სიამოვნებაა, ხოლო წიგნიერება - ცოდნის საღარიბო“.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი: „მინდა მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, ქალბატონო მანანა, მთელ თქვენს კოლექტივს და ყველა იმ ადამიანს, რომლებიც აქ ბრძანდებიან. ვინც ბიბლიოთეკის ღონისძიებებს ესწრება, ყველამ კარგად იცის, რომ აქ, ღონისძიებებს ერთი და იგივე კონტინენტი ესწრება, იცვლებიან მხოლოდ პატარები, რაც ძალიან მახარებს. თვალსა და ხელს შუა იზრდებიან და ერთმანეთს იცნობენ ნორჩები, მათ ადგილს კი სხვები იკავებენ. მომავალი მო-



ქალაქების აღზრდა და ჩამოყალიბება სწორედ წიგნებიდან, ბაღიდან, სკოლიდან და ტაძრიდან იწყება. სამწუხაროდ, დღეს წიგნიერებისა და განათლების დეფიციტი ქვეყანაში. სკოლის ბევრი მაღალი კლასის მოსწავლე სათანადოდ ვერ ფლობს წერა-კითხვის უნარ-ჩვევებს. მიხარია, რომ ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები მონაწილეობენ და ასე ხატონად კითხულობენ ჩვენი სასიკეთოდ პოეტების ლექსებს“.

თამარ თამაზაშვილი, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი: „კითხვა ჩემთვის საკრალური პროცესია. ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა წიგნი და მისი მეშვეობით სხვადასხვა სამყაროში მოგზაურობა. ახლა კი ვცდილობ, ჩემს შვილიშვილებს შევავსო წიგნი. გილოცავთ ყველას წიგნის საჯაროდ კითხვის დღეს და ვუსურვებ ბიბლიოთეკას, გამრავლებოდეს მკითხველი“.

დედა სპარაფილა, სოფელ სამრეკლოს დედათა მონასტრის წინამძღვარი: „დიდი მადლობა ბიბლიოთეკის მესვეურებს დღევანდელი დღისათვის. ისინი ყოველთვის მეპატიჟებიან ღონისძიებებზე, მეც დიდი სიამოვნებით და სიხარულით ვესწრები და უდიდეს ესთეტიკურ ტკბობას განვიცდი. დედაჩემი კლუბის გამგე იყო და მთელი ბავშვობა სცენაზე მაქვს გატარებული. დედამიშვილები დედას ვეხმარებოდით ღონისძიებების დაგეგმვაში. მეუფე ყოველთვის ჩვენი წინამძღვარი და მაგალითის მიმცემი იყო. სცენაზე ბავშვობის შემდეგ აღარ ვმდგარვარ. მართალია, დღეს ამის გამო ცოტა ვინერვიულე, მაგრამ დედის მოგვარე პოეტის-ანა კალანდაძის ლექსის კიდევ ერთხელ წაკითხვა დიდი სიამოვნება იყო ჩემთვის“.

მიხაილ ბახუტაშვილი, საკრებულოს წევრი: „ჩემი თაობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წიგნის კითხვას და განათლებას. ქართველ ავტორებთან ერთად, მსოფლიო კლასიკების ნაწარმოებებს გვიტოვებდით და ბევრი მათგანი ზეპირადაც ვიცოდით. დღეს შოთა რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსნიდან“ წაკითხვაზე ამოწარიდს. მოსწავლეობისას, თითქმის მთელი პოემა ზეპირად ვიცოდი“.

დოდო ხუნაშვილი, ა(ა)იპ. კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორი: „გილოცავთ, ქალბატონო მანანა, დღევანდელ დღეს, მივესალმები ახალგაზრდა თაობის ასეთ ჩართულობას და ვისურვებდი მათ სიმრავლეს ბიბლიოთეკებში. თუკი ასეთი ბავშვები მრავლად გვეყოლება, დარწმუნებული ვარ, საქართველოს ბედნიერი მომავალი ექნება“.

მალხაზ მარაბიშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე: „ჩვენს ბავშვობაში ძალიან პოპულარული იყო ტელევიზორი. მოზარდების უმრავლესობა ცნობილ ნაწარმოებებს მათი ეკრანიზაციის მიხედვით ვეცნობოდით და წიგნის კითხვას ნაკლებ დროს ვუთმობდით. ამის გამო წერვიულობდნენ ჩვენი მშობლები. მაგრამ მერე დაიწყო 90-იანი წლები და ჩაქრა დენი... და ჩემმა თაობამ შეაბიჯა წიგნის სამყაროში, რომელმაც ნამდვილად გვაზიარა სიტყვის ძალას“.

ღონისძიებებში მონაწილეობდნენ მოსწავლეები: **ლალა ჩოფიკაშვილი, ნატალია აბულაშვილი, ნიკოლოზ ხოსიტაშვილი და თაზო ნიკლაური.** მათ წაკითხეს ამონარიდები ქართველი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებიდან, ასევე შესრულდა ქართული ხალხური სიმღერები. საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ინიციატივით, 7 თებერვალს, საქართველოში, უკვე მეცხრედ, წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე აღინიშნა.

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე საერთაშორისო ღონისძიებაა, რომელშიც 100 სხვადასხვა ქვეყნიდან 31 მილიონამდე ადამიანი მონაწილეობს და ერთმანეთს საერთო სლოგანის გარშემო: იკითხე ხმამალა, შეცვალე მსოფლიო! ეს დღე ადამიანებს მთელი მსოფლიოდან შესაძლებლობას აძლევს გაერთიანდნენ, გაიზიარონ წიგნის ხმამალა კითხვის გამოცდილება და შეიტანონ წვლილი კითხვის პოპულარიზაციაში. ასოციაციის მიზანია წიგნის საქართველოში ტრადიციულად შეუერთდეს საერთაშორისო ინიციატივას და გახდეს მსოფლიოს მასშტაბური ღონისძიების ნაწილი.

მომზადდა
ინგა შილაშვილი



დედოფლისწყაროში საზოგადოებრივი ტრანსპორტი დაინიშნება

მაღე დედოფლისწყაროში მუნიციპალური ტრანსპორტი დაინიშნება. მოქალაქეთა ტრანსპორტირებას ორი ახალი ავტობუსი მოემსახურება, რომელიც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა საქართველოს მთავრობის დახმარებით შეიძინა.

საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის სისტემის შექმნის მიზნით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მერის მოადგილე მალხაზ

მერაბიშვილი TBC ბანკის წარმომადგენლებს შეხვდნენ. საბანკო სექტორთან მერმა საბარათე სისტემის დანერგვის დეტალები განიხილა.

„გადახდის სისტემა, რომელიც დედოფლისწყაროში დაინერგება, მგზავრთა კომფორტზე იქნება ორიენტირებული. რაც შეეხება დეტალურ ინფორმაციას, მას ჩვენს მოქალაქეებს უახლოეს პერიოდში მივანდით“ - განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.



ცვლილებები კულტურისა და სპორტის ცენტრში

6 თებერვალს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის თანამშრომლებს შეხვდა და ახალი დირექტორი წარუდგინა. ცენტრის დირექტორად დოდო ხუნაშვილი დაინიშნა, მის პირველ მოადგილედ კი ბაბა პატაშვილი.

დოდო ხუნაშვილს დამთავრებული აქვს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიური ფაკულტეტი. 2011 წლიდან მუშაობდა სოციალური მომსახურების სააგენტოში, ხოლო 2013 წლიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსი სპეციალისტად. 2016 წლიდან კულტურაში გადაყვანამდე ის ამავე სამსახურის უფროსის თანამდებობას იკავებდა.

გაგა პატაშვილი 2019 წლიდან ამ დრომდე დედოფლისწყაროს მერიის ინ-



ფრასტრუქტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობას იკავებდა. დოდო ხუნაშვილმა ლია მაისურაძე შეცვალა, რომელიც კულტურისა და სპორტის ცენტრს შერწყმის შემდეგ 7 თვის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. მან თანამდებობა გასულ კვირას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დატოვა.

„ჩვენ - ქალები მშვიდობისთვის“

8 თებერვალს, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩეხეთის კულტურის ცენტრისა და ნმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა ერთობლივი გამოფენა - „ჩვენ - ქალები მშვიდობისთვის“ გაიმართა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო იმ ქალების პორტრეტები, რომლებმაც საქართველოსა და ჩეხეთის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე მნიშვნელოვანი წარმატებებს მიაღწიეს. გამოფენაში მონაწილე ბავშვებმა, საკუთარი ხელით შექმნილ ნახატებზე მცირე პრეზენტაციები წარადგინეს. მათ წარდგენილი ჰყავდათ საქართველოს გამოჩენილი და ღვაწლმოსილი ქალბატონები, რომლებმაც განსაკუთრებული როლი ითამაშეს ჩვენი ქვეყნის როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ასევე საგანმანათლებლო კუთხით განვითარების საქმეში. ეს ქალბატონები იყვნენ: თამარ მეფე, კატო მიქელაძე, მაია წყნეთელი, ოლა გურამიშვილი, ანასტასია ბაგრატიონ-დავითიშვილი, ბარბარე ერისთავი, თეკლე ბატონიშვილი, ქეთევან დედოფალი და სხვანი.

ნამუშევრების წარდგენის შემდეგ, სპეციალურმა ფიურიმ სამი საუკეთესო ნამუშევარი გამოავლინა. ავტორებს მარიამ კვესაძეს, ელენე გიგაურს და გიორგი კოჭლამაზაშვილს ჩეხეთის კულტურის ცენტრის დირექტორმა, ივანა ბურციკოვამ, სამხსოვრო საჩუქრები გადასცა.



ქალი პარლამენტარები იყვნენ წარმოდგენილი. როდესაც რაღაცას ვსწავლობთ ან ვიღებთ ვიღაცისგან, ჩვენი ისტორია ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და არა თავჩახრით, არამედ პირიქით, თავანულები უნდა იყოს, რომ ქალის უფლებები მე-12 საუკუნიდან უკვე აღიარებული იყო საქართველოში. მადლობა იმისთვის, რომ ასეთი ყოჩაღები ხართ და ამ საქმეს აკეთებთ“.

ლალი გურასაპული, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი

მარების მზაობას“.

დოდო ხუნაშვილი: „უპირველეს ყოვლისა, მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ლალი გურასაპულს და ამ ღონისძიების ორგანიზატორებს, იმიტომ, რომ ამ ღონისძიებაში და ასეთ ამპლუაში პირველად გახლავართ და ძალიან დიდი სიამოვნება მივიღე. ამისთვის განსაკუთრებული მადლობა ბავშვებს. მისასალმებელია თქვენი აქტიურობა ამ მიმართულებით. ძალიან კარგები ხართ, აქტიურები ხართ და ისტორიის გარკვეული ნაწილი, რომელიც დღეს თქვენ საზოგადოების წინაშე წარადგინეთ, ეს თქვენს გონებაში დაილექება, თქვენს გონებაში დარჩება. ჩვენი ისტორია მთელს მსოფლიოში არის მიღებული და მისაბაძი, ჩვენი ისტორიით ვართ სახელგანთქმულები, მინდა გირჩიოთ, რომ წიგნები გულით შეიყვართ, ჩაუღრმავდეთ ჩვენს ისტორიას. ჩვენი ღირსეული ქალების წარმოდგენისთვის დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ. ამასთან ერთად, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩეხეთის კულტურის ცენტრს და მის წარმომადგენლებს დაინტერესებისთვის, ჩვენთან თანამშრომლობისთვის. იმედი მაქვს ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება“.

გაბა პატაშვილი: „ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ბავშვებს ასეთი შესანიშნავი და წარმატებული პრეზენტაციებისთვის. ჩვენი ისტორიის ასეთი სიღრმისეული განხილვა ძალიან ბევრს ნიშნავს თანამედროვე საზოგადოებისთვის. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ჩვენი უძველესი ისტორია, საიდან მოვდივართ, რანი ვართ, როგორ ავიდგით ფეხი. ეს სკოლებში უფრო მეტი ენთუზიაზმით უნდა ისწავლებოდეს. ასეთი სახელოვანი ადამიანების წარმოდგენით ამ ბავშვებ-

მა საოცარი გარემო შექმნეს. მადლობა, რომ ასე წარმატებით უძღვებით თქვენს საქმეს. მინდა გითხრა, რომ არ გაჩერდეთ მხოლოდ ამაზე, წინ ბევრია კიდევ სასაირალო. მართო ამ ღონისძიებით არ შემოვიფარგლოთ, უფრო მეტი და მეტი გავაკეთოთ, იმიტომ რომ, ჩვენი ისტორია გვაძლევს ამის საფუძველს. მადლობა ჩეხეთის კულტურის ცენტრის წარმომადგენლებს, გულისხმიერებისთვის, ერთგულებისთვის, თითოეულ თქვენგან აქ მობრძანებისთვის, მერის მოადგილეს, ახალ ხელმძღვანელს, ქალბატონ ლალი გურასაპულს ამ შეხვედრის ასეთი შესანიშნავი ორგანიზებისთვის. გისურვებთ წარმატებას“.

თამარ ხუნაშვილი: „უდიდესი მადლობა მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ასეთი ლამაზი დღის ჩუქებისთვის. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო, ჩეხეთის კულტურის ცენტრის წარმომადგენლებს, მათი ინიციატივით და სტუმრობით შედგა ფაქტობრივად დღევანდელი დღე. ვიმედოვნებთ და მოხარულნი ვიქნებით, რომ გაგრძელდეს ეს თანამშრომლობა. ბავშვებს ყველაზე დიდი მადლობა, ასეთი ინიციატივისთვის, ნახატებისთვის, წარმოდგენილი და გაცოცხლებული ისტორიებისთვის. ვფიქრობ, თქვენთანაც დაწყებული უკვე თანამშრომლობა და მომავალშიც აქტიურად გავაგრძელებთ მას. წარმატებები მინდა ვუსურვო ამ ბავშვებს, მუზეუმს და ჩეხეთის კულტურის ცენტრის წარმომადგენლებს ჩვენთან მიმართებაში და თავიანთ საქმიანობაში“.

მალხაზ მერაბიშვილმა შეხვედრის დასასრულს, დედოფლისწყაროს მერის სახელით, შეხვედრის ორგანიზატორებს და მონაწილეებს, წამახალისებელ საჩუქარზეც ესაუბრა, რომელიც შავი მთის დედათა მონასტრის შემორჩენილი ნანგრევების გაცნობასა და ქეთევან დედოფლის მიერ განვლილი გზის გასაცნობად ექსკურსიის დაგეგმვას გულისხმობს.

შეხვედრა სამხსოვრო ფოტოების გადაღებით დასრულდა.

**შუშუნა ყანაშვილი
ნათუნა ბენაშვილი**



შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილი, ა(ა)იპ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორი დოდო ხუნაშვილი, მოადგილეები გაგა პატაშვილი და თამარ ხუნაშვილი, ჩეხეთის კულტურის ცენტრის დირექტორი ივანა ბურციკოვა, საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები და დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

ივანა ბურციკოვა: „მოხარული ვარ თქვენს ულამაზეს ქალაქში ყოფნით. მიხარია ამ პროექტის მიმართ თქვენი, საზოგადოების დაინტერესება. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ლალი გურასაპულს, ყველას, ვინც ამ საქმეში მცირედი წვლილი მაინც შეიტანა. ძალიან ვაფასებ ჩვენს თანამშრომლობას. თუმცა, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ბავშვებს, რომლებმაც ეს საოცარი ნახატები შექმნეს და ასეთი ინფორმაციული გახადეს დღევანდელი გამოფენა. წარმატებას ვუსურვებ ყველას“.

მალხაზ მერაბიშვილი: „დიდი მადლობა ბავშვებს ასეთი ლამაზი პრეზენტაციისთვის. მინდა რამდენიმე პატარა დეტალი დავამატო თქვენს წარდგენებს. თამარ მეფე ერთ-ერთი პირველი იყო ჩვენი ისტორიაში, რომელიც მეფედ და არა დედოფლად იწოდებოდა. ერთ-ერთი ყველაზე პირველი და უნიკალური ნაწარმოებია „ვეფხისტყაოსანი“, სადაც პირდაპირ არის მინიშნება და აღიარება იმისა, რომ „ლეკვი ლომისა სწორია“ ანუ ქალისა და მამაკაცის თანასწორობა. მე-სამე, რაც მინდა იცოდეთ, მთელს ევროპაში საქართველოს პარლამენტი იყო ის ერთ-ერთი პირველი ორგანო, სადაც

ყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი: „დღეს ბავშვებმა ისაუბრეს ქეთევან დედოფალზე. შემდეგი ჩვენი ღონისძიება იმ გზას უნდა მიექცინას, რომელიც მან გაიარა. ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი იქნება ბავშვებს ვანახოთ ის გზა, ის ადგილები, რომელიც ქეთევან დედოფალმა მონამეობრივად გაიარა. გეტყვით ასევე იმასაც, რომ ეს ბავშვები ჩვენს მუზეუმთან აქტიურად თანამშრომლობენ. ხშირად ამუშავებენ თემებს, აწარმოებენ მეცნიერულ კვლევას და სურვილის შემთხვევაში, ჩვენ მუდმივად გამოვთქვამთ მათი დახ-



დედოფლისწყაროში წარმოებული სათამაშოები გერმანიაში გაშვებისათვის

„წარმოე საქართველოში“ ორგანიზაციის და The USAID Economic Security Program-ის მხარდაჭერით, ათმა ქართულმა კომპანიამ სათამაშოების უმსხვილეს საერთაშორისო გამოფენაში - Spielwarenmesse 2024 მიიღო მონაწილეობა. მათ შორის იყო დედოფლისწყაროში მოქმედი ხის სათამაშოების მწარმოებელი კომპანია „ცაცია ოსტატი“. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო „ვუდისის“, „თამაშობანას“, „ოდინელის“, „კოკიტოს“, „ცაცია ოსტატის“, „დინოს“, „რუსანას“, „გოგორას“, „იკო კიდისის“, „თვითის“ სათამაშოები.

Spielwarenmesse გერმანიის ქალაქ ნიურნბერგში 1949 წლიდან ყოველწლიურად იმართება და სათამაშოების ინდუსტრიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და პრესტიჟული სავაჭრო გამოფენაა. მას ესწრებიან სათამაშოების ბიზნესთან ასოცირებული მწარმოებლები, სავაჭრო ვიზიტორები, მედიის წარმომადგენლები. გამოფენის ვიზიტორების რაოდენობა ყოველწლიურად 70 000-ს აჭარბებს. წელს ლონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 60 ქვეყნის 3 000-მდე სათამაშოების მწარმოებელმა კომპანიამ.

„წარმოე საქართველოში“ და USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების



პროგრამა წლებია თანამშრომლობენ სათამაშოების ინდუსტრიის განვითარებისთვის, ექსპერტების დახმარებით, ქართული კომპანიების მომზადებისა და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიმართულებით, მათ შორის, საბაზრო კავშირების გაფართოებისა და გაყიდვების სტიმულირების მიზნით.

შუთა შანშიაშვილი („ცაცია ოსტატი“ დამფუძნებელი): „დავბრუნდით გერმანიიდან, ათი ქართული კომპანია იყო წარმოდგენილი სათამაშოების საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც 60 ქვეყნიდან ჩამოსული მწარმოებლები იღებდნენ მონაწილეობას. დაახლოებით 60 000-მდე სტუმარი ჰყავდა გამოფენას და მათ შორის ჩვენც გამოფენით ქართული პროდუქცია. გაცნობითი ხასიათის გამოფენაა, სამომავლოდ პარტნიორობის დასამყარებლად და ურთიერთობების დასაწყებად საუკეთესო საშუალებაა. მეც მომეცა შესაძლებლობა ევროპაში მოქმედი სათამაშოების მალაზიების წარმომადგენლები გამეცნო. დიდი კომპანიების წარმომადგენლები და მწარმოებლები გავიცანი. რა თქმა უნდა დანტერესდნენ ჩვენი პროდუქტებით. ეს ჩვენთვის რიგით მეორე სტუმრობა იყო ამ მასშტაბურ გამოფენაზე. გასულ წელს პირველად ვიმყოფებოდით და მაშინ უფრო მოთვლევითი ხასიათის გაცნობითი ურთიერთობები გვქონდა, ჩვენი კომპანიისთვის ეს სივრცე სიახლე იყო. წელს კი შედარებით მომზადებულებით წავვედით, ამიტომ ვფიქრობ, რომ რისი წამოღებაც ამ გამოფენიდან მიხდოდა, მაქსიმალურად მოვახერხებ.“

დედოფლისწყაროს სანარმოდან გერმანიაში წარდგენილი გვექონდა ჩვენი ექსკლუზიური ნამუშევრები, რაზეც პირადად მე ვმუშაობდი. ათამდე ასეთი სათამაშო წავიღე, რომლებმაც მონონება დაიმსახურეს. შედეგად საქმიანი მოლაპარაკებებიც, ევროპაში მოქმედ მალაზიებთან გვაქვს შეთანხმება, რომ სერთიფიცირების მოპოვების შემდეგ გვექნება კომუნიკაცია და კონკრეტულ დეტალებზე მერე შევთანხმდებით. იმედი მაქვს მოხდება კონტრაქტის გაფორმება, რის შემდეგაც ჩვენი კომპანია ევროპულ საექსპორტო ბაზარზე გავა.

გამონვევებს რაც შეეხება, მიმდინარე წელს გვეგმავთ, ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქცია სრულად სერთიფიცირებული გავხადოთ. ამის გარეშე ვერ შევძლებთ ევროპულ ბაზარზე ჩვენი სათამაშოების გატანას. რადგან საბავშვო პროდუქცია გვაქვს, აუცილებელია კონტროლი და სტანდარტების დაცვა. მქონდა შეხვედრები ლაბორატორიებთანაც, რომლებიც სერთიფიცირების პროცესში არიან ჩართულნი და სწორედ ისინი მოახდენენ ჩვენი პროდუქციის სერთიფიცირებას. ვმუშაობთ პროდუქტების შეფუთვაზე, რაც აქამდე არ გვქონია.

გავიცანით სხვა მსხვილი მწარმოებლები და ვფიქრობ, ვუახლოვდებით შედეგებს, როცა ჩვენი კომპანია ექსპორტზე გავა. იმედია და დავბრუნდით და არ არის გამორიცხული, წელსვე შევძლოთ სერთიფიცირების მოპოვება და საექსპორტო პროდუქციის დამზადება. ჯერ კიდევ გვაქვს სანარმოდო რაღაც ნაბიჯები გადასადგმელი, რაც დროს საჭიროებს. ესენია რებრენდინგის, შეფუთვის მიმართულებით. საქართველოში რაიმე პროდუქციის წარმოება მარტივი არ არის, თუმცა არც შეუძლებელია.



ამიტომ, წინ ძალიან ბევრი საქმე გველოდება. დარწმუნებული ვარ ჩვენს მიზანს ბოლომდე მივიყვანთ და ამისათვის შემართებით ვმუშაობთ. ვიქნებით ერთი მალალი ხარისხის სათამაშოების მწარმოებელი კომპანია საქართველოში. მიმდინარე წელს ვეგმავთ ქართულ ბაზარზე, საცალო ვაჭრობაშიც ეტაპობრივად განვვითარდით. ტექნოლოგიური პროცესები დავხვეწოთ და ამის ხარჯზე შევძელით ახალი პროდუქტების დამზადებაც. პროექტის ხელშემწყობი იყო USAID და „წარმოე საქართველოში“ პროგრამის დამსახურებით ვმონაწილეობთ ამ მნიშვნელოვან გამოფენაზე. გერმანიაში წასული 10 კომპანიიდან 6 ხის სათამაშოების მწარმოებელი ვიყავით, დანარჩენი კი რბილი სათამაშოებისა და სამაგიდო თამაშების კომპანია“.

ქვემო ქედში ძველი შენობების აღდგენის დასრულება

სოფელ ქვემო ქედში კულტურის სახლის ყოფილი შენობის აღდგენის დასრულება. უფუნქციოდ დარჩენილი კულტურის სახლი 2021 წლის ნოემბერში დაინგა. როგორც დედოფლისწყაროს მერიამ ამოკლავს, შენობის ადგილზე ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი აშენდება. იგეგმება ყოფილი სკოლის ავარიული შენობის დანგრევაც.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ტენდერში გაიმარჯვა შპს „თატა 2020“-მა, რომელიც დემონტაჟის სამუშაოებს 15 915 ლარად განახორციელებს. ტენდერი 25 980 ლარზე გამოცხადდა, რაც იმას ნიშნავს რომ 10 ათასი ლარი დაიზოგა. ძველი შენობა 1947 წელსაა აგებული. სადემონტაჟო სამუშაოების პროექტი დამუშავებულია შპს „ლიდერი“-ს მიერ, ხოლო „თატა 2020“-მა შენობის დემონტაჟი ხელშეკრულების დადებიდან 1 თვის ვადაში უნდა დაასრულოს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „წინა კვირას დავაანონსე, რომ წელს ზემო ქედის №1 და ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია დაიწყება. აქვე მინდა ვითხროთ, რომ სამომავლოდ ახალი საბავშვო ბაღის აშენებას ვეგმავთ ქვემო ქედშიც. მერიამ ტენდერი გამოაცხადა, რომ ქვემო ქედის ყოფილი კულტურის სახლის შენობის დემონტაჟი მოხდეს. უახლოეს დღეებში სამუშაოები დაიწყება. როცა ტერიტორია ნარჩენებისგან მოსუფთავდება, აქვე ავაშენებთ თანამედროვე საბავშვო ბაღს, რათა ბავშვებს სტანდარტების შესაბამისი გარემო ჰქონდეთ და აღარ იყვნენ ვინრო სივრცეში. ასევე განათლების სამინისტროს მხარდაჭერით მოვახერხებთ კულტურის სახლის წინ მდებარე სკოლის ყოფილი შენობის დემონტაჟსაც, რომელიც ასევე ხანძრის შედეგად დაზიანებულია და მრავალი წელია გაუქმებული. განათლების სამინისტრო დიდი უწყება და

დროში გაჭიანურდა ამ შენობის დანგრევის საკითხიც, მაგრამ იმედი მაქვს მალე შევძლებთ. წელსვე უნდა მოხერხდეს მისი დემონტაჟიც“.

სოფელ ქვემო ქედში იმ დროს იხსენებენ, როცა ეს შენობა სოფლის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ნერტილი იყო. როგორც გაზეთ „შირაქს“ ადგილობრივები უყვებიან, ამ შენობაში კულტურის სახლის გარდა კიდევ არაერთი ორგანიზაცია ბინადრობდა.

ბუმნარა ტვილიანი (დამსახურებული პედაგოგი, სოფლის კოლორტი): „1971 წლიდან ქვემო ქედში ცხოვრობ და ეს შენობა უკვე მოქმედებდა. პირველ სართულზე კულტურის სახლი იყო, მეორე სართულზე კოლმეურნეობა, აქვე იყო ფოსტაც, ბიბლიოთეკაც და საბავშვო ბაღიც. ჩემი შვილი ამ შენობაში მოქმედ ბაღში დამყავდა. სცენის უკან, ტყის მხარეს ოთახებში დიდი ხნის განმავლობაში მოქმედებდა საბავშვო ბაღი. მეორე სართულზე კოლმეურნეობის თავმჯდომარე იჯდა, მათი ბუღალტერია მოქმედებდა, იქვე იმართებოდა თათბირები. ეს დიდი მნიშვნელობის შენობა იყო ქვემო ქედისთვის. უამრავი ღონისძიება ტარდებოდა, ბევრი ხალხი მოდიოდა, დარბაზში ტევა არ იყო ხოლმე. მაშინ სოფლის ცხოვრება დულდა. საკმაოდ დიდი და კარგი დარბაზი ჰქონდა, ჭალები ეკიდა. ფილმებსაც

ხშირად აჩვენებდნენ, ძირითადად შაბათ-კვირა. მეც არაერთი ღონისძიება ჩამიტარებია, არაერთი ემოციური და საინტერესო საღამო მახსოვს. შემდეგ საბჭო აშენდა და ფოსტა იქ გადაიტანეს, 1 სართულიანი შენობა აშენდა საბავშვო ბაღისთვისაც, ყველაფერი დაიშალა და ეს შენობაც უფუნქციოდ დარჩა. მერე თავმჯდომარე ადგილად იქცა, როგორც ჩანს, ალკოჰოლს სვამდნენ კიდევ და დაუდევრობით ცეცხლი გაჩნდა. თუმცა, ვიდრე შენობა ხანძრისგან ალანდგურდებოდა, იმედი მქონდა, რომ ალანდგენდნენ და ქვემო ქედს საკუთარი კულტურის სახლი ექნებოდა. ამ იმედს ახლაც არ ვკარგავ, იქნებ მოხდეს სასწაული და მოხერხდეს. სოფელს კულტურის სახლი და დარბაზი აუცილებლად სჭირდება. ჩემი აზრით, კი არ უნდა დანგრეს, უნდა აღდგეს. საქმე იმაშია, რომ სკოლასაც არ აქვს დარბაზი, კულტურის თანამშრომლებიც ძალიან ვინროდ არიან, ერთ პატარა ოთახში მუშაობენ და რომ ვერ ეტევიან, სხვადასხვა დროს დაყოფილი ჯგუფებით მუშაობენ. სოფელში მასშტაბური დარბაზი არ გვაქვს, რომ ღონისძიება გაიმართოს. ამიტომაც ოცნებად მაქვს, კულტურის სახლი გვექნენ და სოფლად ცხოვრება უფრო აქტიური გახდეს“.

ასამთ ხომასურიძე (პედაგოგი): „მუშაობა რომ დავიწყე მაშინ სკოლა ორ შენობაში მოქმედებდა. 1974 წლიდან ქვემო ქედის სკოლაში ვასწავლი, 50 წელია სოფელს ვემსახურები. მაშინ დიდი კონტიგენტი იყო, 700-მდე მოსწავლე გვყავდა. ახალი შენობა რეაბილიტაციის იყო განკუთვნილი და მიუხედავად იმისა, რომ სწავლა ორ ცვლაში მიმდინარებდა ბავშვებს ვერ



იტევდა. ამიტომ ძველ შენობასაც ვიყენებდით, სხვა გზა არ იყო. მერე ბავშვთა ოდენობა რომ შემცირდა, ძველი შენობა გაუქმდა და მხოლოდ სათავსოდ ვიყენებდით, ძირითადად შემას ვინახავდით ხოლმე. დროთა განმავლობაში კედლები დაიზარა და სახიფათო გახდა. 1957 წელს გახსნილი შენობა იყო და აღარ ვარგოდა, შემდეგ ხანძარი გაჩნდა. ვერ დადგინდა ხანძრის გამომწვევი მიზეზი და რა მოხდა რეალურად. ვინაიდან სკოლებში გახანგრძლივებული სწავლება გაუქმდა, უკვე თავისუფლად ვეტივით ახალ შენობაში. რაც შეეხება კულტურის სახლის შენობას, დღემდე თვალწინ მიდგას როგორ ასნიეს უზარმაზარი ლამაზი ჭაღი. დაახლოებით 1964 წელი იქნებოდა, როცა მისი გახსნის ღონისძიება მიმავდა. ხშირად გამოვიდიოდი ამ სცენაზე. საოცარი დარბაზი და ძალიან კარგი კლუბი გვექონდა. მასშტაბური ღონისძიება იყო, რაიონიდანაც იყვნენ სტუმრები. მას მერე ბევრი საპატიო სტუმარი ეწვია, მედია ძიძიგური, ვახუშტი კოტეტიშვილი, ცხინვალის ანსამბლი და ბევრი სხვა... მაშინ ცხოვრება ჩქეფდა, სოფელში სიცოცხლე იგრძობოდა. კულტსახლის დირექტორი იყო ზაურ ჩოხელი, ადრე გარდაიცვალა და მის შემდეგ უნდა ითქვას, რომ კლუბის ცხოვრება აღარ ყოფილა იმდენად აქტიური. წარმოიდგინეთ, იმხელა სოფელი იყო, სამი საბავშვო ბაღი მოქმედებდა, სოფელიც სამ ნაწილად იყოფოდა. მერე ბერძენები რომ წავიდნენ, სოფლის ბოლოს მდებარე ბაღი დაიხურა, შემდეგ მეორე ბაღიც გაუქმდა და სოფელი ნელ-ნელა დაიცალა. სოფელში ნორმალური საბავშვო ბაღი გვაქვს. მართალია ამჟამად ბაღისთვის განკუთვნილ შენობაში არ არიან, მაგრამ იმდენჯერ გარემონტდა, საუკეთესო პირობებში აქვთ. არ ვიცი, რამდენად არსებობს ბაღის აშენების აუცილებლობა“.

გვერდი მოამზადა. ილია მარტყოფილიძე

10 წლის მეფუტკრე ბიჭი დედოფლისწყაროდან ოთხი თაობა ფუტკარს ერთგულად ემსახურება

10 წლის დედოფლისწყაროელი გიორგი ლეკაშვილის მეფუტკრეობით გატაცებაზე მეგობარმა მიაშპო და მეც ძალიან მომინდა მისი გაცნობა. აღმოჩნდა, რომ გიორგი მეფუტკრეობის ოჯახის მეოთხე თაობის წარმომადგენელია.

გიორგის დიდ ბაბუას ანუ როგორც კახეთში უწოდებენ, პაპას, შალვა ლეკაშვილს მეფუტკრეობის სკოლა დაუმთავრებია და პროფესიონალი მეფუტკრე გამხდარა. ომიდან დაბრუნების შემდეგ კოლმეურნეობაში გაუგზავნიან მეფუტკრედ და თანამშრომლად მეუღლე, ფატიმა გოძიაშვილი წაუყვანია. პაპა 44 წლის ასაკში გარდაცვლილა, 54 წლის ნინ, მაგრამ დღემდე ბევრს ასხოვს მეფუტკრე შალიკო. მის კვალს გაჰყვა ვაჟი გიორგიც, რომელმაც ტექნიკუმში შეისწავლა მეფუტკრეობა, და მისი შვილები - ბესიკი და ფიქრიც. ფაქტია, ოჯახს გვარში ფუტკარი და მეფუტკრე არ გამოვლინდა და ახლა მეფუტკრეობით ლეკაშვილების უკვე მეოთხე თაობაც დაინტერესდა - ორი წელია, ფუტკრის მოვლაში თავის პაპასა და მამას - ბესიკს, უმცროსი გიორგიც შეუერთდა. ეგ კი არა, გასულ ზაფხულს დედოფლისწყაროში მეურნეობთან შესახვედრად სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელმა თემურ თავაძემ მეფუტკრე პაპა რომ მიიწვია, მას გიორგიც გაჰყვა. ბიჭს ფუტკრეობის მოვლაზე კითხვები რომ დაუსვეს, ყველაფერს სწორად უპასუხა. შემდეგ თბილისშიც წაჰყვა ბებოს, ნუნუ ლეკაშვილს, სოფლის მეურნეობის ნაწარმის გამოფენაზე და სხვადასხვა თავფლი რომ გასინჯა, ბებოს გამოუცხადა, ჩვენი თავფლი ჯობია. ბიჭი სკოლაშიც კარგად სწავლობს და თანაც დამოუკიდებლად მეცადინეობს, თუმცა გამოძიება, ხანდახან დამჭირვებია უფროსების დახმარება. მისგანვე შევიტყვე, რომ გამორჩეულად უყვარს მათემატიკა და ტურნირებზე უმაღლეს ქულებს იღებს, ასევე ძალიან ჰყვარება ჭადრაკი, ისიც პაპას უსწავლიდა მისთვის.



კვერცხიდან, რამდენ ხანში იწყებს მუშაობას და ასე შემდეგ.

ფუტკარმა კბენაც იცის, ასეთი უშიშარი ხარ?

როდესაც 2-3 წლის ვიყავი, არ ვიცოდი ფუტკარი რა იყო და სკაში ჯობით ვუჩხინებდი ფუტკრებს. ეტყობა, ამით ძალიან გააბრაზეს, გამოცვივდნენ სკიდან და ისე დამკბინეს, გადასხმები დამჭირდა. ნუნუ ბებო ამბობს, ზოგი ბავშვი შეიძლება ისე შეშინებულიყო, აღარასოდეს მიჰკარებოდა ფუტკრებს, მე კიდევ პირიქით, მერე უფრო დიდი ინტერესი გამომჩნდა. სკოლაში ვსწავლობდი, პირველად რომ მივედი ფუტკართან, შემეშინდა, მაგრამ მისი მოვლით რომ დავინტერესდი და ბევრი რამ გავიგე, სულ აღარ მეშინია. მთავარია, იცოდე, როდის როგორ მოექცე ფუტკარს. ზიანი რომ არ მოგაყენოს, აუცილებლად სპეციალური პირბადით უნდა მიხედო და სკაში.

რა შემთხვევაში შეიძლება გიკბინოს ფუტკარი, მასაც ეშინია ადამიანის მიახლოების?

საბოლოებით შეგიძლია შეაშინო. ეს არის ყუთი, რომელშიც ყრი ფიჩხს, ანთებ ცეცხლს, მას აქვს საბურველი, საიდანაც შავი შედის და უშვებს ბოლს, რაც ფუტკარს აშინებს და აღარ გაკბენს.

მითხარი, როგორ ახერხებ 10 წლის ბიჭი ფუტკრის მოვლას?

ყოველდღიურად არ არის საჭირო ფუტკრის მოვლა, გააჩნია, რა ხდება სკაში. მაგალითად, შეიძლება სკიდან ყოლი გამოვიდეს - ფუტკრის ერთი ოჯახი, გუნდი, რომელიც ახალი სახლის საძებნელად

მიდის. ფუტკარი სკიდან იმ შემთხვევაში გამოდის, თუ იქ ორი დედაა. სკაში ერთი დედა უნდა იყოს, ორს ან მეტს ჩხუბი მოუვათ. სკიდან გამოსული გუნდი დროულად უნდა დაიჭიროს, თორემ ფუტკრები გაგექცევიან.

ბადით იჭერთ?

არა, ჩვენ სხვა მეთოდი გვაქვს: ვედროს ვაბამთ დიდ ჯოხს, მიგვყრით ყოლს და ვაბინავებთ ახალ სკაში.

მარტო მიდიხარ ფუტკრის მოსავლელად?

პაპას მიყვები, მაგრამ ჩემით ვათვალისწინებ ჩარჩოში ჩამაგრებულ ფიჭას. ბევრ რამეს უნდა მივაქციო ყურადღება: თავფლი რამდენია, რამე ხომ არ სჭირს, კვერცხები თუ დევს, რომელია მამალი ფუტკრის კვერცხი. თუ დედა ფუტკრის ბუდეა, უნდა დაანგრეო, რათა სკიდან არ გამოვიდეს, მუშა ფუტკრების თუ არის, ეს კარგია.

როგორ უნდა გაარჩიო, რომლის კვერცხი დევს?

დედა ფუტკრის კვერცხი რამდენიმე ფორფიტას შეიცავს, მამა ფუტკრის კვერცხი კი ერთს და ძალიან არის ამობერილი. მუშა ფუტკრის კვერცხი ყველაზე პატარაა. მუშა ფუტკარი სულ მუშაობს და სკაში ბევრი თავფლი მოაქვს, მამა ფუტკარი კი არ მუშაობს და მხოლოდ თავფლს ჭამს.

გამოდის, უსაქმური ყოფილა.

დაიხ, ზარმაცია (იციან). ზამთარი რომ იწყება და თავფლს ვაცლით, ფუტკრებს ცოტას ვუტოვებთ, მაგრამ ის თავფლი მამა ფუტკარმა რომ არ შეჭამოს, სკიდან ვაგდებთ...

გიორგი, დამოუკიდებლად შეგიძლია ფუტკრის მოვლა?

ჯერ არა. ვფრთხილობ, მაგრამ უფრო მეტად ფიზიკურად არის ჩემთვის რთული. მაგალითად, ჯერ მარტოს არ შემიძლია ყოლის ანუ ცალკე ოჯახად გამოსული გუნდის დაჭერა. თავფლის ამოღებაში პაპას ვეხმარები ხოლმე. 35 სკა გვაქვს და ყოფილა ისეთი დრო, რომ თავფლი საერთოდ ვერ ამოგვიღია, და ყოფილა ისეც, რომ ერთი ოჯახიდან 40 კილოგრამი ამოგვიღია.

დედოფლისწყაროში ფუტკარი ბევრს ჰყავს. შენი მეგობრებიდან, თანატოლებიდან ვინმე არის შენსავით დაინტერესებული ფუტკრის მოვლით?

მეგობრებიდან არავინ, მაგრამ ახლა ჩემზე ერთი წლით უფროსი მამიდაშვილსაც გაუჩნდა ინტერესი.

რადგან უვლი ფუტკრებს,

ალბათ, აკვირდები კიდევ მათ ქვევას, ჩვევებს.

პაპასგან ვიცი, რომ ჩვენი კავკასიური ფუტკარია. შემჩნეული მაქვს, ჩვენ რომ ფუტკრები გვყავს, შედარებით წყნარები არიან.

ანუ კახელებივით სიღინჯით გამოირჩევიან, თორემ, აბა, ასეთი წყნარი იმერული ფუტკარი ვერაფრით იქნება.

ასე გამოდის, კახელებივით დინჯები არიან, მაგრამ პაპას ნათქვამი აქვს, რომ იმერეთშიც და მთელ საქართველოშიც, ძირითადად, კავკასიური ფუტკარი ჰყავთ.

რას ურჩევ მათ, ვინც არ იცის, როგორ მოიქცეს ფუტკართან, სკასთან, და სიკეთის მომტანი ფუტკარი უცებ მტრად არ ექცეს - რომ არ შეაშინოს და არ დაკბინოს?

პაპა ყოველთვის მეუბნება, ფიჭის ჩარჩოები ფრთხილად ამოიღე, ფუტკრებმა არაფერი დაგიმავონო, ამიტომ მეც ყოველთვის ვფრთხილობ.

ყველას გირჩევთ, თუ ფუტკრების სკებთან ან მობზულე ფუტკრების გარემოცვაში აღმოჩნდებით, არ შეშინდეთ და ხელების ქნევა არ დაიწყეთ. თუ კარგი ამინდია, ფუტკრებიც შედარებით შორს არიან გასული და სკებში მხოლოდ ახალგაზრდა ფუტკრები რჩებიან. ისინი საშიში არ არიან, რადგან არ იკბინებიან, ცუდ ამინდში კი ფუტკრები არსად მიდიან და თუ მიუახლოვდებით, შეიძლება გიკბინონ კიდევ. ამიტომ ფრთხილად უნდა იყოთ.

ირმა ხარპილაძე




საჭადრაკო სეზონი დაიწყო

ჭადრაკის მოყვარულთა ვულფავ ახალი 2024 წლის საჭადრაკო სეზონის დაწყებას.

ამჯერად პირველი ტურნირი 3-4 თებერვალს ჩატარდა ქ.გურჯაანში. 14-18 წლამდე ასაკის ვაჟები და გოგონები იბრძოდნენ პირველობისათვის. ტურნირის ორგანიზატორი-გურჯაანის სპორტული გაერთიანება გახლდათ. ტურნირის დირექტორი - კახეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი - მისი პიტანაშვილი. მთავარი მსაჯი - კახეთის ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი - გიორგი (გოგი) კიკილაშვილი. ტურნირში მონაწილეობა მიიღო 52 მოჭადრაკემ.

დედოფლისწყარო 4 მოჭადრაკით იყო წარმოდგენილი. ტურნირი ჩატარდა შევიცარული სისტემით



7 ტურად სამართლიანი ჭადრაკისა და ფიდეის წესების შესაბამისად. 18 წლიან გოგონებში პირველობა არაგვის დაუთმო დედოფლისწყაროელმა - ნანა აბულაძემ, ხოლო 14 წლიან ვაჟებში - ოთარ ელოშვილმა მეორე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ოთარმა და ამ ჯგუფში გამარჯვებულმა - დათა ყალბაშვილმა (საქართველოს 4 გზის ჩემპიონი) 6-6 ქულა დააგროვეს და მხოლოდ ურთიერთშეხვედრის კოეფიციენტით პირველი ადგილი დათას ერგო.

რეგიონალურ ტურნირში პირველ და მეორე ადგილზე გასულმა მოჭადრაკეებმა, შესაბამის ასაკში, საქართველოს ჩემპიონატის საგზურიც მიიღეს და იმედია, ნანა აბულაძე და ოთარ ელოშვილი იქაც ღირსეულად დაიკავებენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სახელს.

დასასრულს მინდა მივმართო ჩვენს მშობლებს: ნიჭიერება ღვთის მადლით გენეტიკურად მოგვდევს და ეს ჩვენი დამსახურება არ არის. ჩვენი მშობლიური ვალი ამ ნიჭისა და ძალის სწორად განვითარებაშია და ამიტომაც ეს „დაუშუშავებელი ენერჯია“ თუ კალაპოტში არ მოექცა და კარგად არ მოიხილა, მამინ არ იქნება ჩვენი მშობლიური ვალი ჯეროვნად მოხდელი... იქნებ ამაზეც ზმირად ვიფიქროთ!

გიორგი (გოგი) კიკილაშვილი

ნიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე

2 თებერვალს, დედოფლისწყაროს მნიგნობართა ასოციაციის რაიონული გამგეობის საპატიო თავმჯდომარის ვანო ნატროშვილის პატივსაცემად, ნიგნის საჯარო კითხვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

თბილისის ოპერის ბალში, ლია ცის ქვეშ, ცნობილი პოეტის (შოი მღვიმელის, ივ. მაჩაბელის, გ.ტაბიძის, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, სალომეა ნერსისის (ლიტვა) ადამ მიცკევიჩის (პოლონეთი) ვ.მაიაკოვსკის პრემიების ლაურეატის, ქართული კულტურის დესპანის, ლირსების ორდენის კავალერის და რაც თავად მისთვის ყველაზე საპატიოა, საქართველოს პატრიარქის ილია მეორის მიერ დაჯილდოებული უმაღლესი ჯილდოს-წმინდა გიორგის ოქროს ორდენი (2023 წ) კავალერის, მზია ხეთაგურის, ახლად გამოცემული ნიგნის (2023) „გამდინარე წყალი“ სა-

ჯაროს კითხვა გაიმართა.

ლექსები მხატვრულად ნაიკითხეს ნიგნის ქომაგებმა: ამავე ასოციაციის თანათამაშადომარემ ნანა ჭიჭინაძემ, თბილისის ოპერის წამყვანმა სოლისტებმა: მაყვალა ასპანიძემ, არმაზ დარაშვილმა, მამუკა ლომიძემ, გიორგი მლომსელმა, ხელოვნებათმცოდნე ია ხურცილაძემ, თსუ-ის ბიოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებულმა სტუდენტმა მარიამ ტოხიშვილმა. მკითხველს ვთავაზობთ „შენ რომ გხედავ“ მიძღვნილს თემურ ჩალაბაშვილისადმი ლექსის ამონარიდს.

„...შენ რომ გხედავ გულში ჩუმად ვუაღწრებ ბავშობაში წამდგრებულ მოტივს... მართონ სდის შენს ოცნებებს და შენს ლექსებს, შენ გხედავ და... საქართველო მოდის!“

ოპერის ბალში ნიგნის საჯარო კითხვის მსოფლიო დღე ქართული „მრავალუმიერით“ დასრულდა!

მარიამ პოპიაშვილი

სასაფლაოების დასუფთავება ბრძოლაა



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებში სასაფლაოების დასუფთავების სამუშაოები აქტიურად გრძელდება. უპატრონო საფლაოები და სასაფლაოს ტერიტორია არსებული ეკალ-ბარდებისგან გაწმენდა.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ამგვარი სამუშაოები დედოფლისწყაროს არაერთ სოფელში განხორციელდა. სამუშაოებში ძირითადად პრემიერ ლარიაშვილის ინიციატივით შექმნილი სოციალური დასაქმების სახელმწიფო პროგრამის მონაწილე ადამიანები იყვნენ ჩართულნი. როგორც სოციალურად დაუცველ პირთა დასაქმების სახელმწიფო პროგრამის ქედების ზონის კოორდინატორმა შალვა ხორნაულმა გაზეთ „შირაქს“ აცნობა, მიმდინარე წლის 5 თებერვალს ქვემო ქედის სასაფლაოს დასუფთავება მოხდა, ხოლო 7 თებერვალს ქვემო ქედის სასოფლო საფლაოების.

საქმეს დადებითად აფასებენ რაიონისა და ქვეყნის გარეთ მყოფი დედოფლისწყაროელები. ისინი აცხადებენ, რომ უყურადღებოდ მიტოვებული საფლაოების მოვლა-პატრონობა და ტერიტორიის დასუფთავება ყველაზე მაღალიან საქმეა.



კოორდინატორმა შალვა ხორნაულმა გაზეთ „შირაქს“ აცნობა, მიმდინარე წლის 5 თებერვალს ქვემო ქედის სასაფლაოს დასუფთავება მოხდა, ხოლო 7 თებერვალს ქვემო ქედის სასოფლო საფლაოების.

ილია ტუხაშვილი

ჩვენს მონატრებულს, ჩვენს დიდო ტკივილს, ჩვენს საყვარელო ილიკო, პირველად მოდის შენი დაბადების დღე უშენოდ. 28 თებერვალს 34 წლის გახდებოდი, ჩვენო ვაჟკაცო ბიჭო. ნათელში იყოს შენი ლამაზი სული, იქიდან ილოცე შენი ოჯახისთვის, გვიყვარხარ და სულ მუდამ გვეყვარები.

შენი ზიძა და ბიძოლა, ალექსანდრე და მანანა ტუხაშვილები



ზაზა დოღენჯაშვილი

40 დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ჩვენო ზაზა. ნაადრევად დაგვტოვე და სამუდამო განსასვენებელში გადაინაცვლე. ნათქვამია, ნუთია ნუთისოფელი და შენც 45 წელი იკმარე მხოლოდ. არ დაელოდე შეილების დაოჯახებას და შეილიშვილებს, მხარი მოტეხე მეუღლეს. ფოტოები და მოგონებები დაგვიტოვე. ნახვედი და სიყვარულით გამონეული დიდი ტკივილი დაგვრჩა, რომელსაც ვერაფერი შეგვიძლებს.

27 წელი დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურში გაატარე, ამიტომაც რეგიონის სამმართველომ დაგაფასა და უკანასკნელ გზაზე საპატიო კორიდორით გაგაცილა. ეს ამ მიმე დღეებში ძალიან ემოციური და მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, ამიტომ დიდი მადლობა საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს რეგიონულ ხელმძღვანელობას და თითოეულ მაშველს.

შობლები: გოდარძი და მანანა, მეუღლე ია, შვილები: ბიორბი და ვაჟა დოღენჯაშვილები.



ლარიჯან გავაშვილი-ნიკოლაიშვილი

რა უტეგ გაირბინა ორმოცე დაღმე. შენ კი, ჩვენს მნიშვნობართა ასოციაციის წევრებს შორის აღარ ხარ, ჩვენო კარგო და კეთილი ადამიანო. ძნელი წარმოსადგენია, დარეჯან, შენზე წარსულში საუბარი, მაგრამ ვაგლახ, რომ უკურნებელმა სენმა დაგვრია ხელი და სიცოცხლით სავსე, ენერგიული, უმძიმეს ნუთებშიც კი ვაჟკაცურად მებრძოლი და სულიერად მტკიცე ადამიანი გამოგვეცალე.

მნიშვნობართა ასოციაციის მიერ განხორციელებულ პროექტებს ყოველთვის ესწრებოდი. ერთ-ერთი საუკეთესო მნიშვნობართა იყავი.


დიდი ბედნიერება იყო შენს გვერდით ყოფნა, შენთან მეგობრობა, მეზობლობა, მაგრამ უდროოდ ნახვედი ჩვენგან და დაგვტოვე დიდი გულისტკივილი... ძალიან გვაკლიხარ, ჩვენო დარეჯან, ძალიან გვენატრები, არასდროს არ დაგივინყებთ, მუდამ ჩვენთან იქნები.

დედოფლისწყაროს მნიშვნობართა ასოციაცია

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მერიის თანამშრომლები იუნყებთან, რომ დასავლეთ საქართველოში, სტიქიის ზონაში პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ტრაგიკულად დაიღუპა „ენერგო პრო ჯორჯიას“ დედოფლისწყაროს ფილიალის თანამშრომელი შალვა ხატიანიშვილი და თანაგრძობის უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

შვილები: თემურ და თამილა ნადირაშვილები, შვილიშვილები: ნიკა ნადირაშვილი და ნინო ჭაბაშვილი, რძლები: ნანა სულიკაშვილი და მარიამ მაკარაძე ღრმა მწუხარებით იუნყებთან, რომ 88 წლის ასაკში გარდაიცვალა

ლილი ნადირაშვილი.



ხელოვნების სკოლის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ამავე სკოლის პედაგოგს თამილა ნადირაშვილს, დედის

ლილი გოგილაშვილის გარდაცვალების გამო.

ნანა ჭიჭინაძე და ნანა აფციაური ოჯახებით თანაგრძობას უცხადებენ უახლოეს მეგობარს, თამილა ნადირაშვილს დედის, მიმოზა გოგილაშვილს დის, გოჩა გოგილაშვილს და ვია ზოსიმის ძე ნატროშვილს მამიდის

ლილი გოგილაშვილის გარდაცვალების გამო.

გაზეთის „მამული, ენა, სარწმუნოება“ პასუხისმგებელი მდივანი ნანა ჭიჭინაძე და რედაქციის წევრი ლალი გურასაშვილი, ღრმა მწუხარებით იუნყებთან, რომ გარდაიცვალა ამავე გაზეთის მთავარი რედაქტორი იხოლდა (ნანული) გურაშვილი

და თანაგრძობას უცხადებენ ოჯახს და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლებს. დაიკრძალა 10 თებერვალს მახათას მთაზე.

უკრაინაში დაღუპული მებრძოლი დედოფლისწყაროში ჩამოსვენდა

უკრაინაში მიმდინარე სამხედრო მოქმედების დროს გარდაცვლილი 36 წლის ზურა ნიკლაური 5 თებერვალს დედოფლისწყაროში ჩამოსვენდა.



ფრონტდან ის ჯერ კვივენი გადასვენდა, სადაც გამოსამშვიდობებელი ცერემონია გაიმართა, შემდეგ კი კიბინოვი-თბილისის რეისით აეროპორტში ჩამოსვენდა. აეროპორტიდან კი მისი ცხედარი მშობლიურ სოფელ თავწყაროში ჩამოსვენდა, სადაც მეომრის მშობლები ამ დრომდე ცხოვრობენ. 10 თებერვალს კი სოფელ თავწყაროს სასაფლაოზე დაკრძალეს.

ყველა უყვარდა, საქართველო უყვარდა და ამიტომ წავიდა. არ ამბობდა, რომ ომში იყო, მაგრამ ვხედავდი, სამხედრო ფორმა ეცვა და ვგრძნობდი. გასულ წელს ზაფხულში ჩამოსული იყო სოფელში, მაგრამ ვერაფერი ვერ გავაჩერეთ, ისე დაბრუნდა. ჩემს ძმებთან უნდა წავიდე, საქართველოს ბედი წყდება. არ დაეუშვებ, რომ ჩემს დებთან და შვილთან მტერი მოვიდესო. სულით ქართველი იყო, – ამბობს მისი მამა დედოფლისწყაროში.

ზურა ნიკლაური გოჩა ჟვანიასთან ერთად უკრაინის აღმოსავლეთ ფრონტზე აფეთქების შედეგად 1 თებერვალს გარდაიცვალა. როგორც უკრაინის ქართულ ლეგიონში ამბობენ, ნიკლაური მათ შემადგენლობაში 10 წელი იბრძოდა და 2014 წლის ომის დროსაც მონაწილეობდა. ორივე გარდაცვლილი 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილეა.

სოფელ თავწყაროში ამბობენ, რომ ნიკლაური დედოფლისწყაროს სკოლაში სწავლობდა, შემდეგ ოჯახი რუსეთში გადავიდა, ათი წლის განმავლობაში კი უკრაინაში იმყოფებოდა. მას 14 წლის ქალიშვილი დარჩა.

დაუმყარებელი რეკორდი და მორიგი ტრაგედია

საპაერო ბუმბი, რომელიც ქალაქ ფოთის სტადიონიდან 7 თებერვალს გამთენიისას აფრინდა და დედოფლისწყაროში უნდა დაემშვიდობებოდა ავარიული დაშვების შედეგად ასურეთის მალაი ძაბვის ბოს შეეჯახა და ცეცხლი გაუჩნდა. დაღუპულია სამივე მგზავრი. როგორც საეცელურ რუკაზე განთავსებული მარშრუტიდან ჩანს, საპაერო ბუმბი დედოფლისწყაროში მდებარე ვაშლოვანის ნაკრძალში უნდა დაემშვიდობებოდა.



მათი გეგმა წარმატებით რომ დასრულდებოდა, ეს იმას ნიშნავს, რომ უპრეცედენტო ფრენა შესრულდებოდა და იდეის ავტორები მთელ საქართველოს საპაერო ბუმბით გადაუფრენდნენ. ეს კი მსოფლიო რეკორდი იქნებოდა და სწორედ რეკორდის დაყარება იყო მათი მთავარი მოტივაცია, როცა მასშტაბური ფრენა დაგეგმეს.

თებერვლის პირველივე რიცხვებში უამინდობა, ძლიერი ქარი და ყინვა იყო პროგნოზირებული. გარემოს ერო-

ვნულმა საავიაციო და 112-მა საავიაციო გამაფრთხილებელი შეტყობინებებიც გაავრცელეს. თუმცა, იმ საბედისწერო დილით მფრინავები მინც აფრინდა. ჩამოვარდნის დროს თვითმხილველებს მიერ გადაღებულ ვიდეო კადრებში ჩანს, რომ ელექტრობოძო შეეჯახებამდე მფრინავები ბურთის დაშვებას ცდილობდნენ, თუმცა ძლიერი ქარის გამო ვერ ახერხებდნენ და ქარი საფრენ აპარატს ისე მალა იტაცებდა. ეს ერთერთი დასატრია იმისა, რომ უბედური შემთხვევის დროს იმ ადგილზე შეუსაბამოდ ძლიერი ქარი იყო. ასევე წინასწარ დაგეგმილი მარშრუტის მიხედვით, საპაერო ბუმბი ასურეთთან არცერთ შე-

მთხვევაში არ უნდა მოხვედრილიყო. ეს გარემოებაც მიანიშნებს იმაზე, რომ ხაზიდან გადაუხვიეს და ამის სავარაუდო მიზეზი ქარია.

ინციდენტის დროს დაიღუპნენ Sky Travel-ის დამფუძნებელი რევაზ უთურგაური და პოლონელი მფრინავი კრისტოფ ზაპარტი. ორივე მალაი კატეგორიის მფრინავი. მათთან ერთად გარდაიცვალა ბელარუსელი „იმელის“ ოპერატორი მიშო ბიძინაშვილი, რომელიც მოგზაურობის შესახებ ვიდეო მასალას იღებდა.

საპაერო ბურთს 400 კილომეტრი უნდა გაევიდა და ფრენა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან დაესრულებინა. რევაზ უთურგაური წერდა, რომ მარშრუტი გრძელი არ არის, თუმცა ფრენა რთული იქნებოდა, რადგანაც ძირითადად მთიან რელიეფზე უნდა გადაეფრინათ, თუმცა ეს ერთადერთი მარშრუტი იყო, რომელზეც მარეგულირებელი ხელს არ უშლიდა.

პროფესიული მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა

დედოფლისწყაროში მცხოვრები ელექტრიკოსი საჩხერეში სტიქიის სალკვიდაცოი სამუშაოების წარმოებისას დაიღუპა. გაზეთ „შირაქს“ ინფორმაციით, გარდაცვლილია „ენერგო პრო ჯორჯიას“ დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის თანამშრომელი მალა ხატიანიშვილი. სოფელ ოზანის მკვიდრი, 48 წლის მამაკაცი სტიქიის დროს დაზიანებული ელექტრობოძების აღდგენას ცდილობდა. 7 თებერვალს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სიმალიდან გადმოვარდა და სიცოცხლესთან შეუთავსებელი დაზიანებები მიიღო. მამაკაცის გადარჩენა ვეღარ მოხერხდა. მას მეუღლე და სამი შვილი დარჩა.

როგორც თვითმხილველები აღნიშნავენ, ბოძი გადატყდა და მამაკაცს ზედ დაეცა. „ერთხელ ბოძზე ასული იყო და მშვიდობით ჩამოვიდა, მეურ რატომღაც ისევე ავიდა და გადმოვარდა“ - ამბობენ თვითმხილველები. სადისტრიბუციო კომპანია

„ენერგო პრო ჯორჯიას“ დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრში ამბობენ, რომ იმერეთში 4 საეცელისტი იყო ნასული. კომპანიაში 6 თებერვალს გაავრცელა ინფორმაცია, რომ ძლიერმა ქარმა, წვიმამ და თოვლმა დასავლეთ საქართველოში მალაი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების და ფიდერების ნაწილი დაზიანა. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ტექნიკური სამსახურის დამატებითი ბრიგადები მცხეთა-მთიანეთიდან, ქვემო ქართლიდან, კახეთიდან და სამცხე-ჯავახეთიდან სტიქიის ადგილებზე გაგზავნეს. კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიას“ აცხადებენ, რომ მიმდინარეობს შესწავლა და კომპანის წარმომადგენლები გამოძიებასთან თანამშრომლობენ.

გაზეთ „შირაქს“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს მომხდარი ტრაგედიის გამო და თანაგრძობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

65 წლის ასაკში მსახიობი, რეჟისორი და სპორტსმენი სოსო ჯაჭვლიანი გარდაიცვალა. სოსო ჯაჭვლიანი ბოლო წლებში განმავლობაში მძიმე დაავადებას ებრძოდა და კლინიკაში მკურნალობდა. სოსო ჯაჭვლიანმა 1978 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, ხოლო 1991 წელს - შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტი. არის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტის რეჟისორი, საერთაშორისო კინოფესტივალების ჯილდოების მფლობელი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი მკლავჭიდი.

სოსო ჯაჭვლიანი გადაღებული ფილმებში: „ნატურის ხე“, „ამაღლებ“, „ძმა“, „სიბრძნის კარავი“, „სამი ალიყური“, „ფესვები“, „თეთრი ბაიროლები“, „უძინარო მზე“, „სვანი“, „მაიტა ნასოსი“ და სხვა. არის დამდგმელი რეჟისორი ფილმებისა „ჩემი პირველი სიყვარული“, „მანიაკები? ფანტიკები?“, „სვანი“, „მაიტა ნასოსი“.

მუსიკისმრავალსა და პედაგოგს

87 წლის ასაკში ქართველი მუსიკოსი, კომპოზიტორი და პედაგოგი ვაჟა აზარაშვილი გარდაიცვალა. ვაჟა აზარაშვილმა 1961 წელს დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

1961 წლიდან, შემოქმედებითი მოღვაწეობის პარალელურად, ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობასაც. მისი შემოქმედება უანობრები მრავალფეროვნებით გამოირჩევა: სიმფონიური, კამერულ-ინსტრუმენტალური, მიუზიკლი და საესტრადო; ძირითადი მიმართულება ინსტრუმენტული და საესტრადო მუსიკა. ვაჟა აზარაშვილმა ბევრი სიმღერა მიუძღვნა მშობლიურ თბილისს: „თბილისური ლირიკული“, „სიმღერა თბილისზე“, „სიმღერა მეტეხზე“, „პოპულარულია მისი სიმღერები: „მუსიკა“, „დღეები მიდინ“, „პატარა გოგო“, „მზე ჩემი მეგობარია“, „ისევე წვიმს“, „სიმღერა მთელი ჩემი ქონება“, „დინამო, დინამო“ და სხვ. მიღებული აქვს საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრემია (1982).

87 წლის ასაკში ქართველი მუსიკოსი, კომპოზიტორი და პედაგოგი ვაჟა აზარაშვილი გარდაიცვალა. ვაჟა აზარაშვილმა 1961 წელს დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

1961 წლიდან, შემოქმედებითი მოღვაწეობის პარალელურად, ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობასაც. მისი შემოქმედება უანობრები მრავალფეროვნებით გამოირჩევა: სიმფონიური, კამერულ-ინსტრუმენტალური, მიუზიკლი და საესტრადო; ძირითადი მიმართულება ინსტრუმენტული და საესტრადო მუსიკა. ვაჟა აზარაშვილმა ბევრი სიმღერა მიუძღვნა მშობლიურ თბილისს: „თბილისური ლირიკული“, „სიმღერა თბილისზე“, „სიმღერა მეტეხზე“, „პოპულარულია მისი სიმღერები: „მუსიკა“, „დღეები მიდინ“, „პატარა გოგო“, „მზე ჩემი მეგობარია“, „ისევე წვიმს“, „სიმღერა მთელი ჩემი ქონება“, „დინამო, დინამო“ და სხვ. მიღებული აქვს საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრემია (1982).

„ნეოლაბი“ — გიწვევთ!



სოფო ალუაშვილი
ექიმი - ხადიოლოგი

კლინიკა ნეოლაბის დედოფლისწყაროს ფილიალში უპრობლემოდ გაიარეთ კონსულტაციები თბილისიდან მოწვეულ სპეციალისტებთან.

პედიატრის, კარდიოლოგის, ინფექციონისტი, ექოსკოპისტის, გინეკოლოგის და გასტროენტეროლოგის ვიზიტები კლინიკა „ნეოლაბში“ ყოველთვიურად ხორციელდება.

ჩანერისთვის უნდა დაგვიკავშირდეთ კლინიკის ნომერზე:

0 (356) 20 00 85 ან 596 39 20 00.

კლინიკა „ნეოლაბის“ დედოფლისწყაროს ფილიალი მდებარეობს რუსთაველის ქ. №57.



ბადრი ზამბაშიძე
კახიოლოგი



თამარ მგალობლიშვილი
გასტროენტეროლოგი



დავით სხირთლაძე
გინეკოლოგი



ია გოგაშვილი
პედიატრი

ს ა გ უ ბ ა რ ე ბ ი მ უ რ ს ი კ ე ბ ი ს თ ვ ი ს

დედოფლისწყაროში მიმდინარე ქურციკების აღდგენის პროექტი ბოლო ათწლეულში განსაკუთრებით წარმატებული რომ აღმოჩნდა, ამის შესახებ ხშირად ვსაუბრობთ. ნამატი ყოველწლიურად თვალშისაცემია და გადაშენებული სახეობის აღდგენა და ადგილობრივ პირობებთან შეგუება წარმატებით ხორციელდება.

ცნობილია, რომ ვაშლოვანის ნაკრძალის ადმინისტრაცია WWF Georgia-სთან ერთად ხელს უწყობს პოპულაციის გამრავლებას მათსავე ისტორიულ ტერიტორიაზე და დღეისათვის დაახლოებით 200-მდე ერთეული ქურციკი ცივ კი გვყავს. მათი ნაწილი პედიოლოგულად საქართველოდან აზერბაიჯანში მიგრირებს, მაგრამ მათი ძირითადი ბინადრობის ადგილი მაინც სამუხის ვე-ლია.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, პრობლემას წარმოადგენდა ქურციკების სასმელი წყლით მომარაგება, ვინაიდან მათ უწყვედად აზერბაიჯანის საზღვართან არსებულ არხზე ჩასვლა, რაც მტაცებლების სიმრავლის გამო მათი სიცოცხლისთვის სახიფათო იყო.

შელიოს ენერჯი საქართველოს და WWF-ის თანამშრომლობის შედეგად,



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო მზის ენერჯიაზე მომუშავე წყლის სატუმბი სისტემა, რომელიც აზერბაიჯანთან საზღვრიდან, ნაკრძალის ტერიტორიაზე, 6 კმ-ის მოშორებით წყალს ტუმბავს საგუბარებში, რათა ცხოველებმა უსაფრთხოდ დალიონ წყალი. ამისათვის კი მცირე მზის ელ-სადგური მოვანყეთ, თავისი სატუმბი მოწყობილობით. პროექტის ავტორების განმარტებით, სადგური დღეში 1000 ლიტრამდე წყალს ტუმბავს

სამუხის ველზე ქურციკების რიცხოვნობის სტაბილური ზრდის მიუხედავად, პოპულაცია ჯერ კიდევ მოწყვლადია და განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებს. მათ საბინადრო გარემოში ხელსაყრელი პირობების შექმნა მდგრადი პოპულაციის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა სამუხის ველზე ქურციკებისთვის სასმელი წყლის მუდმივი რესურსის შექმნის აუცილებლობა. აღნიშნული საჭიროებიდან გამომდინარე, მდინარე იორის არხის მიმდებარე განთავსდა მზის ელექტროსადგური და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომელიც ავტომატურ რეჟიმში უზრუნველყოფს მდინარის არხიდან სამუხის ველზე ხუთი კილომეტრის სიგრძის წყლის სისტემისა და სამ სხვადასხვა ადგილზე არსებული საგუბრის წყლით მომარაგებას.

პროექტი განხორციელდა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის ოფისის მიერ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს აქტიური ჩართულობითა და ველური ბუნების ადაპტაციის ინოვაციური ფონდის (WAIF/WWF-US) ფინანსური მხარდაჭერით.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

ოთარ ხარაშვილს

დაბადებიდან 83-ე წლისთავს გილოცავთ, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, გვიყვარხარ!

პატივისცემით, შვილები: მაია, ნინო, ხათუნა ხარაშვილები, შვილიშვილები – გიორგი, ოთარი, დავით ნასრაშვილები, რუსუდან და ელიოზ ლეკაშვილები, შვილთაშვილები – ლადო, დათუნა, გაბრიელ ნასრაშვილები.

კონსტანტინე გამსახურდიას მიერ მოყოლილი აგავა

მე-17 მინუტულს კახეთს თურქები შემოესივნენ. კახელმა(ქიზიყელმა) ხალხმა დახმარებისთვის მთიელებს მიმართეს. მთიელებმა გასაჭირში არ დატოვეს თანამომენი და მათ დასახმარებლად კომლზე თითო კაცი გამოიყვანეს. 400 კაციანი რაზმი გამოემართა ქიზიყელ ძმათა დასახმარებლად ბუქური მიმას მთავარსარდლობით. რაზმი ალაზნის პირას ალიაბათში დაბინავდა, აქედან მათ 10 კაცი გაგზავნეს მტრის დასახვე-რად. ქიზიყელთა და მთიელთა რაზმებმა ალყაში მოაქციეს მტერი და გაანადგურეს, ამიტომ განთავისუფლებულ პუნქტს, ბუქური მიმას საპატივსაცემოდ „ბუქურმიმა“ ეწოდა. დროთა განმავლობაში ამ სახელწოდებამ დამახინჯება განიცადა და თურქებზე გამარჯვების ადგილს შემდეგში „თუქურმიმას“ უწოდებდნენ „თუქურმიმა“ კი სწორედ ამჟამინდელი დედოფლისწყაროს ადგილზე არსებული დასახლებული პუნქტი იყო.

ა მ ი ნ დ ი		დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო				
ორშაბათი 12.02	სამშაბათი 13.02	ოთხშაბათი 14.02	ხუთშაბათი 15.02	პარასკევი 16.02	შაბათი 17.02	კვირა 18.02
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე
16°	4°	17°	6°	16°	4°	10°
				2°	6°	1°
					6°	0°
						6°
						0°

გამომცემელი შპს „შირაქი“
 დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
 რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანგაშვილი, ელზა ხარაშვილი (კორესპონდენტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანქაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
 ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამომწერა წელიწადში – 20 ლარი